ხელშეკრულება №15
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
(საქონლის შესყიდვა)

ქ. გორი სოფ. სკრა 16 დეკემბერი 2016 წელი

ერთის მხრივ გორის მუნიციპალიტეტის სკრის სამუსიკო სკოლა (შემდგომში – შემსყიდველი) მისი დირექტორის მაია რამაზაშვილის სახით და მეორეს მხრივ **ი.მ. რუსუდან საგანელიძის „ფარნავაზი“**(ს.კ. 01024012985) (შემდგომში – მიმწოდებელი), **რუსუდან საგანელიძის** -სახით. ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, ხელშეკრულების საგანია – **სარეგისტრაციო წიგნები და ქსეროასლების გადაღება**
1.2 შესყიდვა განხორციელდება ერთ პირთან მოლაპარაკებით.

2. შესყიდვის ობიექტი

2.1 შესყიდვის ობიექტია - **სარეგისტრაციო წიგნები და ქსეროასლების გადაღება**
2.2 CPV კოდი 22800000 – 116 ლარი
79500000 – 14 ლარი

3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1 შეყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში
3.2 შესყიდვის ობიექტის ერთეულის ფასია: ---------- ლარი.
3.3 შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს: 130(ას ოცდაათი) ლარს.

4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

4.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებსს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები

5.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში.
5.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია: ქ. გორი **სოფ. სკრა**
5.3 შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა შემსყიდველისათვის (საგადასახადო ანგარიშფაქტურა ან სასაქონლო ზედნადები).

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დადასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.

7. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

7.1 მიმწოდებელთა ანგარიშსწორება განხორციელდება ვალუტის მითითება.
7.2 შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება ანგარიშსწორების ფორმის მითითება.

7.3 ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება შესყიდვის ობიექტის მიწოდებისა და წინამდებარე ხელშეკრულების 5.3 მუხლში მითითებული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ არა უმეტეს 60 (სამოცი) საბანკო დღის ვადაში.

7.4 ანაზღაურების ადგილია საქართველოს რესპუბლიკა ქ. გორი.

8. მხარეთა უფლება – მოვალეობანი

8.1. შემსყიდველს უფლება აქვს:

- შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით განთავისწინებულ პირობებთან.

8.2. შემსყიდველი ვალდებულია:

- მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
- უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება

8.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:

- მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

8.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

- მიაწოდოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტი ხელშეკრულების ხელმოწერიდან არა უგვიანეს 60 (სამოცი) დღისა.
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისა

9.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2. თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

9.3. ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

9.4. ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

9.5. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,5%-ის ოდენობით.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება: **16.12.16-დან 16.02.17-მდე**

11. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

11.1 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების პირობები ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

12. ფორს-მაჟორი

12.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა, წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალოდ ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

12.2 თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულობლობის პირობები გაგრძელდა სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

12.3 მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

13.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

14.1 შემსყიდველი უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

14.2 ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს შესყიდვების კოორდინატორი

14.3 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.

14.4 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს. საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

15. სხვა პირობები

15.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

15.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

15.3 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

15.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლიარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყვეს ქართულ ენაზე.

15.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

16. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
სკრის სამუსიკო სკოლა	ი.მ. რუსუდან საგანელიძე "ფარნავაზი"
ს.კ. 218079237	ს.კ. 01024012985
სახელმწიფო ხაზინა	სს ქართუ ბანკი
ხაზინის ერთიანი ანგარიში	ბ.კ. CRTUGE22
ბ.კ. TRESGE22	ანგ#GE47CR0110008000223602
სახაზინო კოდი 74914	
დირექტორი:	ი.მ.
მ. რამაზაშვილი	რ. საგანელიძე

დანართი#1

ხელშეკრულების საგნის აღწერა

1. შესყიდვის ობიექტია : სარეგისტრაციო წიგნები და ქსეროასლების გადაღება

№	დასახელება	განზომილების ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი	საერთო
1	ჟურნალი სპეციალური დიციპლინებისათვის	ცალი	17	1	17
2	ჟურნალი ჯგუფური მეცადინეობის	ცალი	10	3	30
3	მოსწავლის პირადი საქმე	ცალი	30	2.1	63
4	ნაერთი უწყისი	ცალი	15	0.2	3
5	მოსწავლეთა შეფასების ფურცელი	ცალი	30	0.1	3
6	ქსეროქსი	ცალი	140	0.1	14
	ჯამი				130 ლარი

ი.მ რუსუდან საგანელიძე

_____

ა(ა)იპ - გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის სანუსიკო სკოლის დირექტორი: მ. რამაზაშვილი

_____

მიღება-ჩაბარების აქტი #12

16 დეკემბერი 2016 წელი

ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ გორის მუნიციპალიტეტის სკრის სამუსიკო სკოლის დირექტორის მაია რამაზაშვილის სახით "შემსყიდველად" წოდებული და მეორეს მხრივ ი.მ. რუსუდან საგანელიძის სახით "მიმწოდებლად " წოდებული ვადასტურებთ, რომ 2016 წლის 16 დეკემბერს დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული სარეგისტრაციო წიგნები და ქსეროასლების გადაღება და **მიწოდება**, ,"მიმწოდებელმა " ჩააბარა ხოლო "შემსყიდველმა" ჩაიბარა რის საფასურიც არის 130 (ას ოცდაათი) ლარი.

მხარეებს ერთმანეთის მიმართ პრეტენზია არ გააჩნიათ.

აქტის სინამდვილეს ვადასტურებთ ხელმოწერით:

"შემსყიდველი"

მიიღო:

მ. რამაზაშვილი

"მიმწოდებელი"

ჩააბარა:

რ. საგანელიძე